საექსპერტო დასკვნა

არქიტექტურულ პროექტში განხორციელდა ცვლილებები, ცვლილებები შეეხო შენობის სართულიანობას. ზემოდან დაემატა ორი სართული. სადაც განლაგდა ხანგრძლივად საცხოვრებელი ერთეულები და სართული დაემატა მიწის ქვეშაც, სადაც განლაგდა ავტოსადგომები. სხვა ცვლილებები რომელიც კავშირშია შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან არქიტექტურულ პროექტში არ განხორციელებულა. აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, არქიტექტურული პროექტი ხელახლა შეფასდა და ცვლილებები შევიდა შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის საექსპერტო შეფასებაში.

ქ. თბილისი. ბაგები. იმედაძის I ჩიხი #7. ს/კ 01.14.08.006.040 საკადასტრო ერთეულზე მდებარე მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტის ცვლილების პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" - დამტკიცების თაობაზე

საპროექტო დოკუმენტაცია შეადგინა არქიტექტორმა: ვალერი იობიძე

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია: "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის #63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ე მუხლის (მუხლი 47. "არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა") შესაბამისად მომზადებული არქიტექტურული პროექტი

საექსპერტო დასკვნა მოიცავს აღნიშნული არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის #63 დადგენილებით ("მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე) მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის მიხედვით.

1. შენიშვნები.

1. საპროექტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რიალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განომარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

2. ტერმინები და განმარტებები

1. წესები - შნობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები

2. შშმ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

3. პროექტის აღწერილობა

დაგეგმარების საფუძველი და მიზნები

საპროექტო ტერიტორიაზე გაცემულია გაპი (ბრძანება #4004468. 08/06/2018) ამ დოკუმენტების საფუძველზე იგეგმება მრავალფუნქციური კომპლექსის დაგეგმარება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, თანაბედროვე გეგმარებითი პრინციპებისა და შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების ნორმების გამოყენებით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა

საპროექტო მიწის ნაკვეთი, რომლის ფართია 1028 კვ/მ მდებარეობს ქ. თბილისი. ბაგები. იმედაძის I ჩიხი #7. ს/კ 01.14.08.006.040 საკადასტრო ერთეულზე. ტერიტორია ქანობიანია, დონეთა სხვაობა 6 მეტრს აღწევს. მიწის ნაკვეთს ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება საზოგადოებრივი გზები, ხოლო სამხრეთის და დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება კერძო საკუთრების მიწის ნაკვეთები ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით. ტერიტორია იმყოფება საზოგადოებრივ-საქმიან ზონაში. მის მიმდებარედ არის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანება.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა

საპროექტო ნაგებობა შედგება 12 სართულისაგან, შენობის -2. -1 და +2 სართულებზე განლაგებულია ავტოსადგომები, +1, +3, +4 სართულებზე განლაგებულია

სასტუმროს ნომრები ხოლო დანარჩენ ზედა სართულებზე განლაგებულია საცხოვრებელი ბინები. მიწის რელიეფის გამო ავტოსადგომებში შესვლა ხდება პირდაპირ საზოგადოებრივი სივრციდან, მათ არ ესაჭიროებათ საავტომობილო პანდუსები. სახურავზე განლაგებულია ლიფტის სამანქანე ოთახები და გზა-კიბეების დაწნევის სისტემები. ნაგებობის ბოლო სართულის გამოყენებული იატაკის ზედაპირი 33,3 მეტრით მაღლაა სახანძრო მანქანის ყველაზე დაბალი მისადგომიდან.

<u>პროექტის კონსტრუქციული სტრუქტურის აღწერა.</u>

შენობის ძირითადი სტრუქტურული სისტემა გადაწყვეტილია რკინაბეტონის მონოლითური კარკასით. საძირკველს წარმოადგენს ადგილზე ფორმირებული რკინაბეტონის ფილა, ასევე მონოლითური რკინაბეტონის ფილებითაა მოწყობილი ყველა სართულშუა გადახურვა. კედლების შემავსებლად გამოყენებულია ბეტონის ბლოკი.

<u>4. ძირითადი ნაწილი</u>

1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:

საპროექტო ობიექტისათვის და მისი ცალკეული ნაწილებისათვის განსაზღვრული დაკავებულობები არის:

სწ-2 (311.3) მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობე ჯგუფი, რომელიც **წესების** მიხედვით მოიცავს "ღია ან შემოზღუდული ავტოსადგომი"-ს. ეს დაკავებულობა განლაგებულია (-2 სათ. -8.80), (-1 სართ -6,00). და (+2 სართ. 0,00) ნიშნულზე არსებულ სართულებზე. **წესების** 1004.1.2 ქვეთავის მიხედვით ამ დაკავებულობებისათვის სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის კოეფიციენტი (18,6 მთლიანი).

სც-1 (310.3) საცხოვრებელი ჯგუფი, რომელიც მოიცავს სასტუმროებს მცირე ხნით დამკავებელთათვის. ეს დაკავებულობები (სასტუმროს ნომრები) განლაგებულია (+1 სართ. -3.20), (+3 სართ. 2.95), (+4 სართ. 6.15) მეტრი სიმაღლის ნიშნულებზე. სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 18,6 მთლიანი. **წესების** ქვეთავი 1004.1.2

სც-2 (303.4) საცხოვრებელი ჯგუფი, რომელიც **წესების** მიხედვით მოიცავს "მრავალბინიან სახლებს". ეს დაკავებულობები (საცხოვრებელი ბინები) განლაგებულია -(+5 სართ. 9.35), -(+6 სართ. 12.55), -(+6 სართ. 15.75), -(+8 სართ. 18.95), -(+9 სართ. 22,15). -(+10 სართ. 25.35) მეტრი სიმაღლის ნიშნულებზე. **წესების** ქვეთავის 1004.1.2 მიხედვით ამ დაკავებულობებისათვის სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის კოეფიციენტი (18,6 მთლიანი).

დს (312.1) დამხმარე სათავსო, რომელიც **წესების** მიხედვით მოიცავს "ავზებს". ეს დაკავებულობა (დამხმარე ფართი) განლაგებულია -3,20 მეტრი სიმაღლის ნიშნულზე სწორადაა შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 27,9 მთლიანი. **წესების** ქვეთავი 1004.1.2

2. კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

პროექტის კვლევის საფუძველზე შენობა-ნაგებობა განისაზღვრა **I-B ტიპის** კონსტრუქციად, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სიმაღლისა და სართულის ფართობის მიხედვით და სავსებით აკმაყოფილებს **წესების** 503 ცხრილის მოთხოვნებს.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**სწ-2** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	11	3
ფართი	7340	-
სიმაღლე	48,8	37,8

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**სც-1** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	11	3
ფართი	შეუზღუდავი	-
სიმაღლე	48,8	37,8

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**სც-2** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	11	6
ფართი	შეუზღუდავი	-
სიმაღლე	48,8	37,8

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**დს** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	**საპროექტო**
სართულიანობა	5	1
ფართი	3300	26,2
სიმაღლე	48,8	37,8

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომის, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელის შეფასება:

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი და შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თვითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.

წესების მიხედვით განისაზღვრა მიწის დონის ზედა და ქვედა სართულები. საპროექტო შენობას აქვს 2 მიწის ქვედა სართული და 10 მიწის ზედა სართული.

აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს, კერძოდ:

-2 სართულზე (-8,80 ნიშნულზე) არსებულ ავტოსადგომს **წესების** 1021,2(2) ქვეთავის მიხედვით, რადგან ის არის მიწის ზედაპირიდან -2 სართული, მას ესაჭიროება 2 გასასვლელი. ერთი გასასვლელი მოწყობილია შიდა გზა-კიბის საშუალებით და მეორე გასასვლელი მოწყობილია ა-ე ფასადზე შენობიდან გამოსასვლელი ღია ფასადიდან პანდუსის სახით. რომელიც პირდაპირ ღია, საზოგადოებრივ სივრცეს უკავშირდება. პანდუსი მოწყობილია 1010 ქვეთავის შესაბამისად.

-1 სართულს (-6,00 ნიშნულზე) არსებულ ავტოსადგომს **წესების** 1021,2(2) ქვეთავის მიხედვით, რადგან ის არის მიწის ზედაპირიდან -1 სართული, მას ესაჭიროება 1 გასასვლელი. თუმცა მას აქვს ორი გასასვლელი. ერთი გასასვლელი მოწყობილია შიდა გზა-კიბის საშუალებით და მეორე გასასვლელი მოწყობილია ა-ე ფასადზე შენობიდან გამოსასვლელი ღია ფასადიდან. რომელიც პირდაპირ ღია, საზოგადოებრივ სივრცეს უკავშირდება.

+1 სართულს (-3,20 ნიშნულზე) არსებულ სასტუმროს ნომრებს ესაჭიროებათ ორი გასასვლელი (**წესების** 1021,2(2) ქვეთავი). ეს გასასვლელები მათ აქვს შიდა გასასვლელის გზა-კიბის და დერეფნის მეორე ბოლოსთან გარე გასასვლელის გზაკიბის სახით. გარე გასასვლელის გზა-კიბე -3,20 ნიშნულს აკავშირებს -6,00 ნიშნულზე არსებულ გრუნტის ზედაპირთან და საზოგადოებრივ სივრცესთან. ის მოწყობილია **წესების** 1026 ქვეთავის დაცვით.

+2 სართულს (0,00 ნიშნულზე) არსებულ ავტოსადგომებს ესაჭიროებათ ერთი გასასვლელი (**წესების** 1021,2(2) ქვეთავი). ეს გასასვლელი მოწყობილია 1-6 ფასადზე შენობიდან გამოსასვლელი ღია ფასადიდან, რომელიც პირდაპირ ღია, საზოგადოებრივ სივრცეს უკავშირდება.

3,4,5,6,7,8,9,10 სართულებზე არსებულ სასტუმროს ნომრებსა და საცხოვრებელ ბინებს ესაჭიროებათ ორი გასასვლელი (**წესების** 1021.2(2) ქვეთავი). ეს გასასვლელი მოწყობილია შიდა გასასვლელის გზა-კიბეების საშუალებით. რომელიც შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის კედლით. ეს კიბეები აკავშირებს ნაგებობის ყველა სართულს ერთმანეთთან (გარდა -2 სართულისა სადაც მხოლოდ ერთი გზა-კიბე ვრცელდება). დაგეგმარებულია **წესების** 1009.2 - 1009.3 - 1022.1 და 1022.3 ქვეთავების მიხედვით. გზა კიბეები დაკავშირებულია დერეფნებთან საიდანაც შესაძლებელია მოხვედრა ყველა სივრცეში და ასევე დაკავშირებულია შენობიდან გამოსასვლელთან, რომელიც მდებარეობს 1 სართულზე 0,00 ნიშნულზე და -1 სართულზე გარე გასასვლელის გზა-კიბესთან. დაცულია გასასვლელებს შორის მანძილი **წესების** 1015.2.1 ქვეთავის მიხედვით. დაცულია გზა-კიბეებს შორის მანძილი წესების 403.5.1 ქვეთავის მიხედვით.

გასასვლელის გზა-კარები მოწყობილია **წესების** 1008 ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას. გაღებულ მდგომარეობაში მათი სიგანეები არის 0,82 მეტრი და მეტი.

გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორედ, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული წერტილის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს **წესების** 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

5. გზა-კიბის და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება:

პროექტით გათვალისწინებულია ორი გზა-კიბე. **წესების** 1009.4 ქვეთავის მიხედვით ორივე გზა-კიბის სიგანე არის 1.1 მეტრი. კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარის გასწვრივ მოწყობილია მოაჯირი **წესების** 1013 ქვეთავის შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს მოწყობილია სახელური **წესების** 1012 ქვეთვის მოთხოვნათა დაცვით. სწორედ არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს **წესების** 1009.7.2 ქვეთვის

მოთხოვნება, ხოლო გზა-კიბის ბაქნების ზომები შეესაბამება **წესების** 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

სხვა გასასვლელი საშუალებები სწორედ არის დაგეგმარებული დერეფნის სიგანე აკმაყოფილებს **წესების** 1018.2 ქვეთავისა და **წესების** 1005.3.2 ქვეთვის მოთხოვნებს. ყველა კარი (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) აკამყოფილებს **წესების** 1008.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

6. მისაწვდომობის შეფასება:

რადგან პირველი სართულის იატაკი მდებარეობს 0,00 ნიშნულზე **შშმ** პირი საავტომობილო გზიდან პირდაპირ ხვდება პირველი სართულის იატაკის ნებისმიერ წერტილში, მათ შორის ლიფტში. ლიფტით აქვს შესაძლებლობა ნაგებობის ყველა სართულზე და ყველა სივრცეში მოხვდეს. 1 სართულზე არის მისაწვდომი ავტოსადგომი **წესების** 1106.1 ცხრილის მიხედვით. ასევე ნაგებობაში მოწყობილია მისაწვდომი სასტუმროს ნომერი **წესების** 1107 ქვეთავის მიხედვით.

7. ლიფტების შეფასება:

ნაგებობაში მოწყობილია ლიფტი (1007.2.1), რომელიც მოსახერხებელია უნარშეზღუდულთა გადაადგილებისათვის და შესაძლებელია მასში 2,15 X 0,60 ზომის საკაცის შეტანა. ლიფტის დაგეგმარებისას გამოყენებულია **წესების** 1702.4. 1109.7 1007.4 ქვეთავის მოთხოვნები. ლიფტი აკავშირებს ყველა სართულს. მის ზედა ნაწილში მოწყობილია ლიფტის სამანქანე ოთახი, რომელიც დაკავშირებულია გზა კიბესთან. ლიფტის შახტა შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის კედლით. ლიფტი წესებთან სრული შესაბამისობითაა დაგეგმარებული და აკმაყოფილებს **წესების** მე-17 თავის მოთხოვნებს.

8. გარე კედლისადმი მოთხოვნების შეფასება:

საპროექტო შენობის გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების 601 და 602 ცხრილის მოთხოვნებს. იგი შედგება მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის კედლის ანაწყობით.

გარე კედლის ღიობის მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები და ღიობის დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია 705 ქვეთავის მიხედვით და აკმაყოფილებს 705.8 ცხრილს.

9. სახურავის ანაწყობის შეფასება:

სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები განსაზღვრულია 601 ცხრილის მიხედვით. შენობის I-B კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე საჭიროებს სახურავის 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხს, თუმცა საპროექტო ნაგებობის სახურავი არის რკინაბეტონის ფილა და იგი მინიმუმ ორ საათიანი ცეცხლმდეგობისაა. შესაბამისად იგი აკმაყოფილებს **წესების** ყველა მოთხოვნას.

10. ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნილი გამოჯვნების შეფასება:

შენობაში რამდენიმე დაკავებულობაა. **წესების** 508.4 ცხრილის მიხედვით ყველა დაკავებულობა ერთმანეთისაგან იმიჯნება 2 საათიანი ცეცხლმედეგობის სართულშუა გადახურვის ფილითა და ცეცხლმედეგი კედლებით. გამმიჯნავები სრულად აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.

11. ხანძრისგან დაცვის სისტემის შეფასება:

წესების 903.2.8 ქვეთავის მოთხოვნის მიხედვით შენობა მთლიანად აღჭურვილია **წესების** 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისი ავტოსაშხეფი სისტემით. ავტოსაშხეფის არსებობა და გზა კიბის დაწნევის სისტემა განაპირობებს იმას, რომ ავტოსადგომების დონეზე გზა-კიბეს არ ქონდეს ფოიე. (**წესების** 903.2.10 და 909.20.5 ქვეთავები)

ნაგებობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები **წესების** 906.1 ქვეპუნქტის მიხედვით ყველა სართულზე და განაწილებულია **წესების** 906.3(1) ცხრილის შესაბამისად.

წესების 905.1 ქვეთავის მიხედვით კიბის შემოზღუდულ სივრცეში მოწყობილია სახანძრო მილდგარების მისაერთებლები

წესების 912 ქვეთავის მიხედვით სახანძრი სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი მოწყობილია ეზოში, გზის პირას.

წესების 713.14.1 ქვეთავის (გამონაკლისი 6-ის) მიხედვით ლიფტის შახტაში დაყენებულია დაწნევის სისტემა.

ასევე დაწნევის სისტემაა დაყენებული და გზა-კიბის შემოზღუდვაში **წესების** 1022.10 ქვეთავისა და 909.20 ქვეთავის მიხედვით.

წესების 907.2.9 ქვეთავის მიხედვით სც-2-ში, დერეფნებში დაყენებულია ხელით სამართავი სახანძრო განგაშის სისტემა.

12. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობის რაოდენობა შეესაბამება **წესების** ცხრილის 1602.1 მოთხოვნებს. კერძოდ ავტოსადგომის სართულებზე **წესების** 1602.3 ქვეთავის გამონაკლისის მიხედვით არ არის მოწყობილი წყალსადენი სისტემები. ხოლო დანარჩენ სართულებზე, საცხოვრებელ ბინებში წესების მიხედვით მოწყობილია ტუალეტები.

დ ა ს კ ვ ნ ა

აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისი. ბაგები. იმედაძის I ჩიხი #7. ს/კ 01.14.08.006.040 საკადასტრო ერთეულზე მდებარე მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტის ცვლილების პროექტი სრულად შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან - „შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები“. ასევე ვადასტურებ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისათვის ყველა საჭირო ინფორმაციას. საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი:

გიორგი ლოთიშვილი: 

12/02/2022

საქართველო

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 04001000787

სახელი გიორგი

გვარი ლოთიშვილი

დაბადების თარიღი 01.07.1976

დაბადების ადგილი ამბროლაური

№ გ 1408186

პირადი ხელმოწერა

მისამართი თბილისი შილდის ქ. № 3

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ისანი-სამგორის სამსახური

გაცემის თარიღი 23.12.2010

მოქმედების ვადა 23.12.2020

რეგისტრაციის თარიღი 23.12.2010

ბ.ა. უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

დამკვეთი: სსიპ სრს; შემსრულებელი: შპს „კაბადონი +"; სფს რეგისტრაციის № 05-1623

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017-051

გადაეცემა

გიორგი ლოთიშვილს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

STU №003630

This is to certify that Mr./Mrs. Giorgi Lotishvili in year 2001 completed a full academic course of the Georgian Technical University majoring in Architecture

By resolution of the State Examination Board, dated July 11, 2001 Mr. Giorgi Lotishvili is conferred the present DIPLOMA and the qualification of Architect

Rector .....

Seal

Chairman of the State Examination Board .....

Dean .....

City Tbilisi 4. 03. 2005

Registration № 14720 Secretary .....

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

სტუ №003630

მიეცა გიორგი გიორგის ძე ლოთიშვილს იმაზედ, რომ მან 2001 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული კურსი, სპეციალობით არქიტექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2001 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით გიორგი გიორგის ძე ლოთიშვილს მიენიჭა არქიტექტორის კვალიფიკაცია

რექტორი .....

ბ.ა. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე .....

დეკანი .....

ქალაქი თბილისი 4. 03. 2005 წ.

სარეგისტრაციო № 14720 მდივანი .....

გიორგი ლოთიშვილი

მისამართი: ფ. მონაპერეს ქ. ნაკ. 044/731
ტელ: 593 222 033
ელ-ფოსტა naormala@gmail.com

დაბადების თარიღი: 01/07/1976
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

განათლება

1995 – 2001 გავიარე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის სრული კურსი (ბაკალავრი, მაგისტრატურა) მივიღე კვალიფიკაცია: არქიტექტორი.

2017 წელს გავიარე შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი (41 დადგენილება). იგივე წელს ჩავაბარე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დოქტურანტურაში.

ამჟამად ვარ არქიტექტურის დოქტურანტურის სტუდენტი.

სამუშაო გამოცდილება

2001-2002 წელი	შპს "გოდაკო" არქიტექტორის თანამდებობა
2002 წელი	შპს "ალფა დიზაინი" მთავარი არქიტექტორის თანამდებობა
2003-2010	ინდ-საწარმო "გიორგი ლოთიშვილი". არქიტექტურილი მომსახურება.
2010-2015	შპს "ნაორმალა". ს/ნ (406030227) ფირმის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. ფირმა ახორციელებს არქიტექტურული პროექტების მომზადებას და თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებას.
2015-2017	ფ/პ გიორგი ლოთიშვილი, კერძო არქიტექტორის სტატუსით ნაგებობების არქიტექტურული პროექტების მომზადება და შეთანხმება თბილისის არქიტექტურის სამსახურთან
2017-დღემდე	პროექტირებასთან ერთად ვანხორციელებ საკონსულტაციო მომსახურებას 41 დადგენილებასთან შესაბამისობაში. ვამოწმებ სხვა არქიტექტორების მიერ მომზადებულ პროექტებს და გავცემ შესაბამის საექსპერტო შეფასებებს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

თბილისი-0175, კოსტავას ქ. №77; სტუ-ს I კორპუსი; ქალაქის ტელ.: 2-33-71-63; შიდა ტელ.: 62-60
E-mail: n.imnadze@gtu.ge www.gtu.ge

09/10/2020

ცნობა

ეძლევა გიორგი ლოთიშვილს (პირ.№04001000787) მასზედ, რომ მან 2020 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დოქტორანტურის სრული კურსი და 2020 წლის 20 ივლისს მიენიჭა არქიტექტურის დოქტორის აკადემიური ხარისხი (ოქმი N 1).

ნ. იმნაძე

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის
ფაკულტეტის დეკანი